


ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობა

— გასახლდით ეგვიპტიდან! ჩვენს ხალხს მშვიდობა და თავისუფლება უნდა! — აიმაღლა ხმა ეგვიპტელმა.

— თუ აქ შესახლდები, მზად ვარ ეგვიპტიდან ჩემს გამოხახლებაზე გულდამშვიდებით გეთათბირო... — უპასუხა კბილებამდე შეიარაღებულმა ჯონ-ბუდმა და თავის მიერ დადგმულ ხაფანგზე მიუთითა.



აპერიკელი ჯარისკაცების მოთქმა-პოღება

როგორც გაზეთი „ნოდონ სინმუნი“ გვამცნობს, კორეაში გაგზავნილ ამერიკელ ჯარისკაცებისათვის შემოღებულია ახალი წამაქეზებელი სისტემა: ჯარისკაცი, რომელიც 36 საბრძოლო ქულას მოაგროვებს, ნებართვას მიიღებს დაბრუნდეს სამშობლოში.

ნან. თ. თბილელისა



— როგორ შეგნატროდით ჯონ ლინდლის! სანგრებში ჯდომისათვის ოთხი ქულა ჰქონდა ჩათვლილი, საომარი საქურვლის გადმოზიდვისათვის — ორი, მაგრამ იმედი აღარ გაუმართლდა საცოდავს, მეშვიდე ქულის მიღებამდე კორეელმა სნაიპერმა იმსხვერპლა... ჩვენ რაღა გვეშვილება, სამსამი ქულა ძლივს გვაქვს მიღებული.. ოცდათექვსმეტამდე ვინ მიაღწევს, ვინ ეღირსება სამშობლოში დაბრუნებას!..

საქართველო

უცხოეთიდან

ჭურდი და მამლის კუდი

ამას წინათ შვედი ბანკირებისა და მსხვილი მრეწველების ორგანომ ჟურნალმა „ფინანსტიდნიგენმა“ გამოაქვეყნა მეთაური წერილი „გამქრალი კაპიტალისტი“, რომელიც ეკუთვნოდა ფილოსოფიის ვილაც ლიცენციატს რაგნარ ბენტცელს.

ბენტცელი თავის სტატიაში „ამტიციებს“, რომ შვეციაში დიდი ხანია გაქრა კაპიტალისტი და იგი მხოლოდ მუშების წარმოდგენაში არსებობს. სტატიაში ვკითხულობთ: „სადაა ის ბურჟუაზიული კლასი, რომელიც ხალხის საერთო კუთვნილების ცხრა მეათედს ითვისებს? სადაა არიან ის მუშები, რომლებიც „არაფერს არ იძენენ“? კემზარიტად საქმე იმაშია, რომ თანამედროვე შვეციის საზოგადოებაში კაპიტალისტი გაქრა“.

იმ ქურდისა და მამლის კუდისა არ იყოს, კაპიტალისტი თუ კემზარიტად გაქრა, მაშ ვისი დაკვეთით დაწერა ხსენებულმა ბენტცელმა ხსენებული მეთაური სტატია?

ინგლისელი ტანტალი და ამერიკელი ზევსი

ზღვაში ჩამწყვდეულ მითიურ ტანტალს შიოდა. მის თვალწინ კი მადის აღმძვრელი საქმელები ელაგა. დასწვდებოდა თუ არა ასაღებად — სანოვაგე დაბლა, ფსკერისკენ ეშვებოდა.

სწყუროდა. გვერდზე კი ოქროს მილიდან ნექტარი მოსჩქედდა. დაეწაფებოდა თუ არა დასაღევად — მილი მალლა იწვედა, ხილს მოსაწყვეტად წაეტანებოდა — ხე ტოტებს შეიკეცავდა...

რადგან სკოლის სახელმძღვანელოებში შემორჩენილ ამ ძველ ზღაპარს ახლაც ასწავლიან ინგლისში, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ასეთი სცენები:

- მორიგ გაკვეთილზე მასწავლებელი ეკითხება მოწათეს:
 - ვინ იყო ტანტალი, ან ზევსი?
 - ტანტალი ინგლისია, ზევსი კი — ამერიკა, მასწავლებლო!
 - საიდან წარმოიდგინე?
 - კი არ წარმოვიდგინე, თქვენთან ერთად ვხედავ, რომ ზევსი — ამერიკა ზღვაში ჩამწყვდეულ ტანტალს — ინგლისის ისევე აშიმშილებს, როგორც მითოლოგიაშია აღწერილი.
 - გაუგებარია. — მზრების აჩეჩვით ამბობს მასწავლებელი.
 - რატომ? ინგლისურ გაზეთ „პიპლსი“ ეს ხომ გასაგებად სწერია? აი, ინებეთ! (ამ სიტყვებზე მოწათე გაზეთს გადასცემს, მასწავლებელი ცხვირში ნიღბით კითხულობს გაზეთ „პიპლსი“ და ზოგიერთ წინადადებას ხმამაღლა წარმოსთქვამს):

„უცნაურია, მაგრამ სიმართლეა... ამერიკის მაცირვარ საწყობებში 41 მილიონი გირვანქა კარაქი ინახება, როგორც მკედარი საქონელი... ზაფხულის ბოლოს ამ „ურგები“ კარაქის მთა ნ-ჯერ გაიზრდება... საწყობებში. ეს კი მთელი ბრიტანეთის მოსახლეობას მ თვის განმავლობაში ეყოფოდა...“

მაგრამ ვინაიდან ამერიკის წყალობით დამშეულ გულითადად მოკავშირე ინგლისს ამაზე ოცნებაც კი არ შეუძლიან, მასწავლებელი სევდიან პაუზას აკეთებს და განაგრძობს „პიპლის“ კითხვას. გაკვეთილი უცებ წყდება, ხოლო ინგლისელი ტანტალის მიერ ნერწყვის ყლაპვა გრძელდება.

ნახ. ნ. შალაზონიძის



სუკათი პირველი

რა კარგი ბიჭი იყო ბაქია,
რა გამბედავი და რა ყოჩაღი!
სამმართველოში დასვეს თუ არა,
ისე მოაწყო, როგორც ოჯახი.

ამნაირ მმართველს ვერც თვითკრიტიკა
და ვერც კრიტიკა ვერ შეაშინებს,—

ბიძაშვილები ჰყავს ხელქვეითად,
ენდობა თავის დეიდაშვილებს...

სახედგანთქმული გახდა ბაქია,—
ნათესაობა როგორ არ აქებს:
შეთანხმებულად დაეპატრონენ
ბინებს, ბიუჯეტს და აგარაკებს..

სუკათი მეორე

რა კარგი ბიჭი იყო ბაქია,
მაგრამ წაუხდა მაინც გუნება,
სამმართველოში მოულოდნელად
მოვიდა მკაცრი განკარგულება.

მოხსნეს ბაქია!.. ნათესაუების
დანახვით გული ვერ ეფონება.

მოხსნეს ბაქია და კაბინეტშიც
შესწყვიტეს რეკვა ტელეფონებმა!

განგებ გაბერიდ სახელით ახლა
უკვე ვერავინ ვერ შეგვაშინებს...
და სასაცილოდ ეცვადათ ფერი
იმის ბიძაშვილ-დეიდაშვილებს!

გოგოთურ მიზრიაული



ნერვიოზობითი შეკითხვა



ჩვენი სოფელი კახეთის გულშია. დიდძალი ვენახი გვაქვს. ლვინოც ბევრი მოდის და უყვარს კიდევ ხალხს ლხინი. სიმართლე უნდა ითქვას, ისეთი შაბათი არ დალამდება და არც კვირა დღე გავა, რომ ჰარი-ჰარალე არ ისმოდეს სოფლის სხვადასხვა უბანში. დაძაბული შრომის შემდეგ ლხინსა და სიმღერას წინ ვინ აღუდგება, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, არც კისერმომტეხი სმა-ჰამა ვარგა...

სოფლის ექიმი ზაქარია ბადურაშვილი ვაჟკაცურად სვამს. თუ სადმე ქორწილი, დღეობა, ქელები, ან „მალარიჩი“ იმართება, უთუოდ ზაქარია მიჰყავთ თამადად. კარგი თამადაობა იცის, ლვინოს შეაქებს, ყურძნის მომყვან-დამწურავს მარჯვენას დაულოცავს, მერე შენც აგამალლებს და ასე, ამრიგად, ჩაის ჭიქებს გამოგაცლევინებს.

ამ დილითაც, როდესაც რაიონიდან ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ჩამოვიდა, სათამადო საქმიანობით იყო გართული ჩვენი ზაქარია.

დიდხანს ეძებეს. ბოლოს სიმღერის კვალზე მიაგნეს და გახურებული ქეიფიდან პირდაპირ ჯანგანის წინაშე წარსდგა ლოყაწამოწითლებული.

— ლექცია უნდა წაიკითხოთ! — მიმართა მას ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ.

— დიდი სიამოვნებით წავიკითხავ, — სასწრაფოდ დაეთანხმა ზაქარია, — რა თემა იქნება?

— ალკოჰოლის შესახებ! — მოკლედ უპასუხა გამგემ. ზაქარიამ გამგის პასუხი ხუმრობად მიიღო. გაიფიქრა: დატუქსვას იოლად გადავრჩიო, და დააპირა კიდევ მკლავში ხელი გამოედო წარბშეკრულ ჯანგანისათვის, მაგრამ იგი უსიტყვოდ დაემშვიდობა და იქვე მდგომ ნერვულად მოთუხთუხე ავტომობილს მოახტა.

ზაქარიას იმ წუთას გულში რაღაც უსიამოვნო გრძობა დაებადა, მაგრამ არ ჩაფიქრებია, რადგან შეზარხოშებულად გახლდათ და მოქეიფე ამხანაგებიც ელოდებოდნენ. გონების თვალთ კალენდარს გადახედა, აპრილის ბოლო იყო და გული ისევ დაინუგეშა: ალბათ, საპირველმაისო მოხსენებას მავალდებენო.

მეორე დღეს კი ღრმად ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას. გულზე ჯავრი შემოეყარა. სამართლიანად ფიქრობდა, რომ ლექციის დროს ნათქვამს არავინ დაუჯერებდა, რადგან მთელ სოფელში მსმელის სახელი ჰქონდა გავარდნილი. სხვა გზა არ ჰქონდა. მუშაობას შეუდგა.

ლექციის დასამზადებლად მრავალი მასალა წაიკითხა. თვითონაც კი თმა ყალყზე დაუდგა, როცა საფუძვლიანად გაეცნო, თუ რა მოსდევდა გამუდმებულ სმას.

დადგა კვირა დღე. ხალხი ნელინელ იკრიბებოდა და კოლმეურნეობის კლუბი აივსო კიდევ. ქალებიც ბევრნი დაესწრნენ, მეტადრე ლვინის მსმელების ცოლები, რომელთაც თავიანთი ქმრების ბედი აინტერესებდათ.

მორიდებით ავიდა ზაქარია ტრიბუნაზე. მიწყდა ჟრია-მული. ხალხი სმენად გადაიქცა. ორი საათის განმავლობაში ზაქარია სიმწრის ოფლში იწურებოდა, ორი საათის განმავლობაში ამტკიცებდა და ასაბუთებდა, თუ რა მავნე იყო ადამიანისათვის ლოთობა და რა მოსდევდა მას. ლექციის დროს აქა-იქ ხითხითებდნენ კიდევ, რადგან ხალხს, მეტადრე მამაკაცებს, ზაქარიას ბავთავან არასოდეს არ გაეგონათ ლვინის ძაგება.

როდესაც ლექცია დამთავრდა, გამოვიდა კოლმეურნეობის ყოფილი ბუნხალტერი ვარდენ კინკრიხოშვილი, შეკითხვა მაქვსო.

მშვენივრად იცნობს კინკრიხოშვილს ზაქარია. მას ლოთობაში ტოლი არა ჰყავს. რასაც შოულობდა, ყველაფერს ლვინოში ფლანგავდა და ჰამდა. რამე რომ მიგებარებინათ, არ მოგერიდებოდათ, უთუოდ გაყიდდა და შეჰამდა. კოლმეურნეობაშიც დაიწყო საზოგადო ქონების მირთმევა, მაგრამ დროზე მიუხვდნენ და მოხსნეს. ამის შემდეგ სოფლად ნაკელის მოგროვება დაავალეს მას. შიში აღარ ჰქონდათ... აბა, ნაკელს რას დააკლებდა!

ერთი სიტყვით: თავზე ხელაღებული კაცი იყო კინკრიხოშვილი და ზაქარია, ცოტა არ იყოს, შეკრთა. ვენახის რა თქვას. ამდენ ხალხში რომ შეარცხვინოს და თავბედი აწყველინოს, თავი როგორღა გამოჰყოს გარეთ? მერე რამდენჯერ უქეიფნია მასთან ერთად, რამდენჯერ შეუქია საფერავი და რქაწითელი, კინძმარაული და მწვანე. ახლა მეტი რა გზა აქვს, აზრის გამოთქმის ნება უნდა მისცეს.

— ბრძანეთ, პატივცემულო ვარდენ, ბრძანეთ! — ტკბილად და გადამეტებული თავაზიანობით მიმართა ზაქარიამ, ეგებ ცუდი არაფერი გამიხსენოსო.

— რაც მე თავი მახსოვს, — წამოიწყო კინკრიხოშვილი, — ლვინის სმის დროს სულ იმას გაიძახიან, — დალიე და დალიე, დედის რძესავით შეგერგებო. ვარდა ამისა, თეატრშიც მინახავს და რადიოშიც მომისმენია, თუ როგორი გატაცებით მღერიან: „ღვინოვ კახურო, ვარ შენი მსმელი...“

ზაქარია მღუმარედ უსმენდა და ლელავდა. ფიქრობდა, აი, ახლა მომადგება და საჯაროდ მეტყვის არც შენ აკლებ ხელს ლვინის სმასო. თვალეში შესცქეროდა, ხან გაუღიმებდა, ხან უმიზნოდ თავს უქნევდა, თითქოს ნათქვამის სიმართლეს უდასტურებდა.

— თქვენც ხომ ბევრჯერ მოგისმენიათ ეს სიმღერა? — მოულოდნელად შეეკითხა ზაქარიას კინკრიხოშვილი, — განა ეს სიმღერა მართალს არ ამბობს?..

— პატივცემულო ვარდენ, — ისევ ტკბილად და ხუმრობით მიუგო ზაქარიამ, — ვინც მაგ სიმღერას თეატრში, ან რადიოში მღერის, ისინი ფხიზლები არიან. აბა, ერთი ლვინით გამოთვრნენ და ისე იმღერონ, თუ საწყენი არ შეხვდებათ, მაგასაც დაინახავენ! შენ რომ მთვრალი მღეროდი, იმიტომ შეგხვდა საწყენი საქმე! — დარიგების კილოთი დაამთავრა პასუხი ზაქარიამ, იქნებ ამხეც გავლენა მოვახდინოო. ზაქარიას ტკბილმა სიტყვამ ვარდენი მართლა გააჩუმა. ის უწყინრად დაჯდა თავის ადგილზე.

— კიდევ ვის გაქვთ შეკითხვა?..

წამოდგა გიგლა მენაღარიშვილი. ისიც ზაქარიას ახლო მეგობარი იყო, წყალწაღებული მსმელი. ლვინის მსმელმა ხომ ადამიანის ცნობა არ იცის, ვისთანაც ლვინოს დალევს, ის არის მისი მეგობარი. გიგლაც ისეთი ლოთია, რომ ერთხელ თავის ცხენსაც კი დაალევინა ლვინო. მე რომ მთვრალი ვარ, ჩემი ცხენიც მხიარულად იყოსო, ისე გაეშურა ქორწილში მაყრად.

რა ქნას ზაქარიამ, ეს რა უბედურებაა. სწორედ ლოთები და ისიც მისი მეგობრები დაესიენ შეკითხვებით. სხვა გზა არ ჰქონდა, შეწუხებულმა ხელით ანიშნა, თქვი რა გინდაო.

— მე წერილობითი შეკითხვა მაქვს. — ხმამალა მიუგო გიგლამ და მრავალჯერ გადაკეცილი ბარათი გაუგზავნა ლექტორს.

ზაქარიამ ბარათი გახსნა და გადაიკითხა. კითხვის დროს მას შუბლი შეეკმუნხა, შეეტყო, რაღაც ეწყინა. რამდენიმე წუთის განმავლობაში მერყეობდა. ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს სახე გაუბრწყინდა, ტუჩზე ღიმილი მოადგა და გადაშლილი წერილი სახალხოდ წაიკითხა:

„ზაქარია, ძალიან გააქიანურე შენი ლექცია. გეყოფა წყლის ნაყვა, მოათავე და საჩქაროდ წამოდი. სერგოსთან კარგი კამპანიაა შეკრებილი. გელოდებიან, უშენოთ სუფრას არ შემოუსხდებიან. თამადად შენ უნდა იყო!“

ზაქარიამ ბარათის კითხვა დაამთავრა, თავი მალა ასწია და ყოველი სიტყვის გარკვეულად გამოთქმით დაუმატა:

— ამხანაგო გიგლა, მე საქეიფოდ ვერ წამოვალ, ვერც თამადაობას გაგიწევთ, რადგან მე მჯერა ჩემი ლექციისა. მან ჩემზეც მოახდინა გავლენა!..



როცა სახნის-საკვეთელით
ველარ გავიტანე კვადი, —
გადავწყვიტე შიშველ ხელით
მომეთხარა ნარ-ეკადი!

მაგრამ ნარს რომ ჩავეჭიდე.
ქარიშხალმა შემაწუხა:
შეირხა და შეშრიადღა
მოშორებით მდგარი მუხა!..

გვიან მივხვდი ამაყ მუხას
რა აშფოთებს, რა აკვენესებს, —
ნარ-ეკადი თურმე ფესვით
ჩაქსოვია მუხის ფესვებს.

ყანის მავნე სარეველა
გამიჭირდა მომეთხარა,
თუმცა ნიანგს ამ საქმეში
კოდეგიაც მომეხმარა!

და ამიტომ გადავწყვიტე,
ქურდბაცაცა კაცთან ერთად
შევაძრწუნო ის, ვინც იმას
ეგულება მფარველ ღმერთად...

რომ არ მითხრან მცირეს დასდევ,
დიდ ბრძოლაში არ ვარგხარო, —
დოყდაპია ხელმძღვანელის
ფესვი უნდა გადავთხარო!

რომ ყოველი კოდმეურნე
რასაც დასთესს, იმას მკიდეს! —
თორემ კარგი რა მოუვა
მაენე კაცის გადამკიდეს!..

პ ა წ ა ვ ა ც ა დ რ ო თ...

1951 წლის 23 მარტს მოქ. კალანდაძემ თბილისიდან შვილს ფოსტით 100 მან. გადაუგზავნა მახარაძის რაიონის სოფელ ხიდისთავში. წერილში ატყობინებდა: „მიიღებ თუ არა ფულს, სასწრაფოდ ჩამოდი, შენი საქმეების მოსაგვარებლად ყოველგვარი ზომა მიღებულია“.

როდისთვის ჩამოვიდოდა თბილისში ფულის მიმღები კალანდაძე?

მკითხველს შეუძლია ამ იოლი ოპერაციისათვის მაქსიმალურ ვადად დიდი დიდი 15 დღე გაითვალისწინოს, მაგრამ ფოსტის მუშაკთა მარიფათს თუ მივენდობით, მოქ. კალანდაძე დღესაც წყნარად უნდა იჯდეს სოფელ ხიდისთავში და გულდამშვიდებული ელოდებოდეს ორი წლის წინათ თბილისიდან გაგზავნილ ას მანეთს.

როგორც ფულის გადამგზავნი კალანდაძე და მის ხელთ მყოფი საფოსტო გზავნილების ქვითარი გვატყობინებს, მან. მოქ. კალანდაძემ, ცხრა თვის შემდეგ მიაკითხა ფოსტის თბილისის განყოფილებას.

— გზაში გაიბნეოდა, ბატონო, ვაცალოთ პაწა! — უპასუხეს მას ფოსტის განყოფილებაში.

„პაწაც აცალებს“, მაგრამ რაკი ფული მაინც ვერ ჩავიდა ხიდისთავში, მოქ. კალანდაძემ კვლავ მიაკითხა ფოსტის თბილისის განყოფილებას.

— დეპეშა გავგზავნოთ და მოვიკითხოთ, ბატონო, სად დაიკარგება, პაწა კიდევ ვაცალოთ და ფული ან აქ მოვა, ან ხიდისთავში ამოყოფს თავს!

მოქ. კალანდაძემ 1952 წლის 19 იანვარს ფოსტის განყოფილების მოთხოვნით ახალი თანხა გაიღო დეპეშის გაგზავნის საფასურად. 6 მან. და 10 კაპ. გადაიხადა. მაგრამ დეპეშა წავიდა და ფულისა არ იყოს, აღარ მოვიდა.

დღესაც ფოსტის განყოფილების კართან დგას მოქ. კალანდაძე. ახლა დეპეშის მოსაძებნ ახალი დეპეშის გასაგზავნ ფულს თხოვენ და ეუბნებიან:

— პაწა კიდევ ვაცალოთ, ბატონო, და ყველაფერი მოგვარდება.

„რომ არ ვაცალო, სად გავიქცეო“ — ამბობს მოქ. კალანდაძე, მაგრამ არა გვეჯონია, რომ კავშირგაბმულობის სამმართველოშიც ასეთ გუნებაზე დადგნენ და ფოსტის განყოფილებათა ბიუროკრატებს „პაწა-პაწათი“ ბევრი აცალონ.

ბ. ფოსტაშავიძე



მიძინებდი მევისთონა



— ბატონებო, თქვენ იმისათვის მოგიწვიეთ, რომ გაუწყობთ მეტის-მეტად არასასიამოვნო ამბავი: რევიზორი მოდის ჩვენთან.

— როგორ თუ რევიზორი?

— როგორ თუ რევიზორი?!

...ოთახში არ არიან არც გოროდინი, არც ლიპკინ-ტიპკინი, არც ზემლიანიკა და არც ხლოპოვი... არის მხოლოდ მათი სიტყვები და რამდენიმე სხვა კაცი: ერთ-ერთი დიდი მეურნეობის დირექტორი სიკო არველაძე და მისი თანამშრომლები: მოადგილე, ბუხბალტერი და ორი საწყობის გამგე. შემფოთებული სახეები!

— გამიგონეთ, თქვენ, აი, რა უნდა გააკეთოთ!

ყველაზე მხნედ მაინც დირექტორია. ფერი მასაც არ ადევს, მაგრამ ენა მაინც ემორჩილება, სასწრაფო დავალებას აძლევს თანამშრომლებს, რომ რევიზიის მოსვლამდე... ყველაფერი მოაგვარონ!

...ვერ მოასწრეს!

ერთი საათის შემდეგ მეურნეობის კანტორაში ორი კაცი მივიდა, ორივეს ერთნაირი პორთფელები ჰქონდათ.

ერთი გამოცდილი რევიზორი იყო, სევასტი კვაკაძე, მეორე გამოუცდილი — სილიბისტრო ბოლქვაძე. იგი პირველად წამოაყვამ სევასტის, მისი გამოცდილება გულს უმაგრებდა. სევასტის ისეთი მოხერხება ჰქონდა, ქვას გახეობდა.

— გამარჯობათ! — მიესალმნენ ისინი მეურნეობის დირექტორს და მის თანამშრომლებს.

— რას კანკალებთ! ბევრი შექამეთ? — თქვა დინჯად სევასტიმ და შავიდას მიუჯდა. ეს მისი ჩვეულებრივი შესავალი სიტყვა იყო რევიზიის დაწყებამდე.

...ქალაქები აფრიალდა, დოკუმენტების ზედახორა დადგა, ატყდა საანგარიშოების ჩაკუნნი და კალმების წრიბინი.

მუშაობაში კარგა ძალი დრო გავიდა. სამხრობა გადავიდა, მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა და საღამოს პირი გამოუჩნდა.

სევასტი და სილიბისტრო თავაუღებლევ მუშაობდნენ.

— ოცდათხუთმეტი ათას... — არ დაასრულა სევასტიმ, თავი მალა შემართა, დიდმნიშვნელოვნად შეხედა თვალებად ქცეულ დირექტორს და ხმადალა უთხრა:

— კარგი მადა გქონიათ, მე და ჩემმა ღმერთმა.

მადის თქმაზე კიდევ უფრო მოეწვა კუჭი სილიბისტროს, ხუმრობა საქმე ხომ არ არის: მთელი დღე არაფერი უქამია.

ოქმი დაწერეს, ხელი მოაწერეს, პორთფელშიც ჩადეს... მეურნეობის თავკაცებმა დაგვიანებულ სადილზე მიიპატიეს მშვიერ-მწყურვალ რევიზორები. სევასტიმ და სილიბისტრომ თავიანთი პორთფელები დირექტორის საწერი მაგიდის ყუთში ჩაკეტეს.

სილიბისტროს გული არ ერჩოდა მეურნეობის თავკაცებთან ესაღილა. სევასტის წასწორიწულა: ამ პურის ჰამის ქრთამის სახე არ ჰქონდესო. სევასტის გაეცინა, რა მშვიდარა ყოფილხარ, ადამიანები ვართ, მშვიდრები ხომ არ ვიქნებითო...

და აი, ისინი ლაზათიან სუფრაზე მოხვდნენ. მერე რა კარგ ადგილას იყო გაშლილი! თუთისხის ქვეშ, მდელიოზე. თუთის ტოტზე ელნათურა იყო ჩამოკიდებული.

სილიბისტროს ეამა შემწვარი ვარიების დანახვა. უკეთეს სუფრას კაცი ვერ ინატრებდა, მერე იმ დროს, როცა კუჭში ერთი ნამცეციც კი არ იყო...

ღვინის დოქიცი ჩამოადგეს.

ახლა კვლავ ერთნაირი დაურბინა სილიბისტროს: ქრთამი არ იყოსო. ვარიას გადასწვდა, ისე გახლიჩა, თითქოს რაიმე ჯავრი აწუხებს და ამაზე უნდა იყაროსო.

რა გემრიელი ღვინოა! როგორ მოატყუა სილიბისტრო! ნუთუ მან ჰქია ძირამდე დაცალა უყურე ერთი მართლა კარგი ღვინოა, ერთი ჰქის დალევაც შეიძლება. მხოლოდ ერთი ჰქია, მეტი არა. მეტი რომ დალიოს — ხომ დაითრო... ეს კი არამც და არამც არ შეიძლება.

თამადა ფხიანი კაცი გამოდგა, მეორედ უფრო ტკბილად დაილოცა. სილიბისტრომ მეორედ უჩვენა ჰქის ძირი თუთის ტოტზე ჩამოკიდებულ ელნათურას... და პურ-მარილიც უფრო დატკბა და ჩაშაქრა.

სილიბისტრო კარგ გუნებაზე დადგა. თავს იმაგრებდა. რომ მესამე ჰქია არ დაეღია, იუარა კიდევ, მაგრამ თამადამ დასცინა — ჰქინურა როგორ უნდა მოგერიოსო.

ჯანდაბას! სილიბისტრო ერთსაც დალევს და მეტს არა.

რახან ერთხელ გასტეხა ფიცი და თავს უღალატა, სილიბისტრომ კიდევ ორიოდვე ჰქია გადაჰკრა. ახლა გუნებაში რაღაც ხმაური იგრძნო, მიაყურა, თურმე თავისთვის ღიღინებდა. სიმღერა ეწადა და ვერ გაეძედა.

სევასტი ორივე ხელით მუშაობდა; იქიდან ვარია გადმოიღრია, აქედან — გოქის ფეხი, სულის კაწკაწი ჰქონდა ჰქია რომ აპირთავებული ყოფილიყო. ერთი სიტყვით, — მოილხინა კაცმა! მერე ვილაცას უბრძანა სიმღერა დაეწყო.

ქეიფის დროს კრიკა შეკრული ჰქონდა სიკო არველაძეს. მან კარგად იცოდა სევასტის ხასიათი, მთვრალს საწყობის გამგეები მოუსვა აქეთ-იქიდან. საწყობის გამგეებმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს სევასტისთან, იმდენი ეჩინნეს, იმდენი შევირდნენ, რომ ამ გულჭვა კაცს ლამის ცრემლები გადმოაღვრევინეს.

...ცოტა ხნის შემდეგ სილიბისტრო სუფრის რამდენიმე წევრთან დარჩა. სევასტიმ უთხრა ახლავე მოვალ და ერთ კარგ საქმეს გახარებო.

მართლაც არ გასულა ერთი საათი, სევასტი მეურნეობის თავკაცებთან ერთად დაბრუნდა და უკვე საკმაოდ მთვრალ სილიბისტროს ყურში უთხრა:

— ოთხი ათასია. ორი შენ, ორი მე... ოცდათხუთმეტს ჩვენი ჰქირი წაუღია, გაიგე?

— მთვრალს უკვე აღარ ესმოდა რას ეუბნებოდა სევასტი, მისი ყველაფერი სჯეროდა, როგორც გამოცდილი რევიზორის და ახლაც დაუჯერა:

— ორი შენ, ორი მე... კარგი საქმეა, — წაილულულა და თავს ანგარიში არ მისცა, რაზე ამბობდა ამას. — რა ღვინოა, შენი ჰქირიმე!

სილიბისტრომ აიჩემა ამაღამე რაიონის ცენტრში უნდა დაგებრუნდეთო. სევასტის ერჩინა ის დამე მეურნეობაში გაეთია, მაგრამ სილიბისტრომ სიტყვას არ გადაუხვია. იგი ერთ-ერთი საწყობის გამგეს ყავდა შეკავებული; ისე იყო მთვრალი, რომ თავად ათი ფეხი რომ ჰქონოდა, ვერც ერთი ვერ შეიმარებდა.

დირექტორმა მეურნეობის მანქანა დაიბარა. მიუხედავად შოფრის ჯიუტობისა, რომ სამი კაცი კაბინაში არ შეიძლებაო, სილიბისტრო და სევასტი ერთად ჩასვეს შოფრის გვერდით.

სიკო არველაძემ შოფერს უთხრა: — ორივე შინ მიიყვანე, სანამ არ დაიძინონ, უკან არ დაბრუნდეთ.

...მანქანა რაიონის ცენტრისაკენ მიაქანებდა ორ რევიზორს: გამოცდილსა და გამოუცდილს.

შუალამე გადასული იყო. ღამის ორის ნახევარზე მანქანა რაიონის დაბაში შევიდა, მთავარ ქუჩაზე ჩაიჭროლა, მერე შუკაში მოუხვია და ერთ შენობასთან გაჩერდა.

შოფერმა თანამგზავრებს გადახედა. ისინი ღრმა ძილში იყვნენ. გზაში ჩასძინებოდათ, პორთფელები ისე ჩაებლუჯათ, თითქოს ეშენიათ არავინ წაგვართვასო.

შოფერი გადავიდა მანქანიდან, სახლს შეხედა, ქუჩისპირა ორი ფანჯარა ჯერ კიდევ განათებული იყო. ჩანდა სახლის პატრონის ელვიძა. ელექტროზარი დარეკა.

დიდი ხანი არ გასულა, ქუჩისპირა მალალი კარი გაიღო და პიეამიანი ახოვანი კაცი გამოჩნდა.

— ძალიან დიდ ბოდიშს ვიხდი, ამხანაგო რაიკომის მდივანო, — მორიდებით დაიწყო შოფერმა, — აქ რამდენიმე მოქალაქე მოვიყვანე, მითხრეს, რომ ისინი რაისაბქოში მუშაობდნენო. უგონოდ მთვრალები არიან და არ ვიცი რა ვქნა, სად მივიყვანო...

— აბა წამოდი, მაჩვენე, ვინ არიან...

რევიზორები მოუსვენარ ძილში წვალაობდნენ. რაიკომის მდივანს ღვინის არასასიამოვნო სუნი ეცა.

რაიკომის მდივანს აგურის კედლით შემოკავებული ეწო ჰქონდა, მაღალი რკინის ჰქიკრით. შოფერს უთხრა:

— დარდი ხომ არ ექნებათ შინ, ამაღამ ჩემთან რომ დარჩე? — შოფერი მიუხედა განზრახვას და უთხრა:

— არა, რა დარდი უნდა ჰქონდეთ!

ცოტა ხნის შემდეგ რკინის ჰქიკარი გაიღო და საბარგო მანქანა რაიკომის მდივანის ეწოში დადგა.

— ვნახოთ ხვალ დილით რა ყოფაში იქნებიან ეს ვაებატონები.

ახლა კი პროკურორის გამოგუძახოთ... — თქვა რაიკომის მდივანმა.

შოფერმა მალალ ღობეს ახედა, ჩიტიც ვერ გადაფრინდებო, გუნებაში ჩაიციანა და რაიკომის მდივანს კიბეზე ფეხაკრეფით აჰყვა.

პორტფელებჩაბლუჯულ რევიზორებს ტკბილად ეძინათ. ერთ-ერთ პორტფელში ეწყო ოთხი ათასი მანეთი ფული, ძველი ოქმის ნახევები და ახალი ოქმი, რომელიც იტყობინებოდა, რომ მეურნეობას ერთი კაპიკი დანაკლისი არ გააჩნდა.


მაშ საიდან იყო ეს ოთხი ათასი მანეთი?

მართო ეს როდია საინტერესო... ვნახოთ, მართლაც რა ყოფაში გაიღვიძებენ ქრთამიყლაპია სევასტი და ლოყლაპია სილიბისტრო...

თენგივ მოგოდაქა



ნან. დონისა



ჩიტკორესპონდენტმა სათვალეები გაისწორა, ამხედ-დამხედ და რაკი გაიგო ქვემო-ქედდან ვიყავი, ყურადღებად გადაიქცა.

— კეთილი, — მითხრა მან, — მიაბეუ თქვენი სოფლის ავკარგინობაზე!

დავიბენი: „ავს“ რა საქმე აქვს ჩვენს სიკარგესთან-მეტქი.

— მე ძალიან მდიდარი სოფლიდან გახლავართ. გეცოდინებათ, პურის მოსავლით განთქმული შირაქის ველი, თავდადებული შრომით ჩვენ იქ მოსავალი გავზარდეთ; ალაზნის ველზე თვალუწვდენი ყამირები გავტყებთ. ამ შრომამ გაამდიდრა ჩვენი კოლმეურნეობა; წელს ერთი შრომადლის საფასურმა 10 კგ მარცვლეულს გადააპარბა. კოლწევრთა ორსართულიანი სახლები ნ კილომეტრზე გაიჭიმა. რა გინდათ, რომ ჩემს სოფელში არ იყოს: საშუალო სკოლა, ვეტპუნქტი, საექიმო პუნქტი, ქონსამკითხველო მაღაზია... ის, რა ჰქვია...

ჩიტკორესპონდენტმა სიამოვნებით ჩაახველა, ეშმაკურად გაიღიმა და ლაპარაკი გამიბა.

— ამბობენ, თქვენი სოფლის გზის გასწვრივ ყოველ წელს ხენილებს რგავენ, მაგრამ შუა გზა უფრო გამწვანებულია, ვიდრე მისი ნაპირებიო.

— ეს სულ იმ „არიფი“ ძროხების ბრალია, თორემ ნარგავებიც გაინზრდებოდა.

— გზა კი, — აგრძელებს იგი, — ისეთი ოღრო-ხოღროა, რომ თუ ფრთხილად არ იარე — თავი მუცელში ჩაგივარდებოა.

— საინჟინერო ხელსაწყობების ნაკლებობას განვიცდით, ნიველირებას სუსტად ვეუფლებით, თორემ...

— მაშ ასეთ გზებზე ავტობუსი როგორ მოძრაობს?

ულვაშებში ჩამეცინა. ქედი და ავტობუსი?! რა გულუბრყვილო კითხვა იყო! მაგრამ პირი როდი შევირცხვინე, — მინდორ-მინდორ მოკლე გზით დადის-მეთქი, — მოვასხენე.

— ელექტროგანათებას ხომ არ ვმდურით? — მეუბნება ჩიტკორესპონდენტი.

ამ შეკითხვამ კინაღამ ხმამაღლა გამეცინა.

— როგორ, ელექტრონი არა გაქუთ ქედში? საკვირველია!

— ძალიან საკვირველია, მაგრამ...

— მაშ არც რადიო გექნებათ.

— თბილისიდან შორსა ვართ, მიმღები რომ გეკონდეს, აქედან იქ სმა მაინც ვერ მიაღწევს...

— აბანო?

ეს სიტყვა უცხოური მეგონა, რადგან ქვემო-ქედის ყოფა-ცხოვრებაში არ იხმარება და თამამად შეგვეკითხე — ქართულად რას ნიშნავს-მეთქი? მან კი ხელი ჩაიჭინა და აფთიაქის საქმეზე შეგვეკითხა.

ახლა მეც ჩავიკინე ხელი. პასუხის გაცემას არ ვაპირებდი, მაგრამ გამიმეორა:

— ვისკუმო, თუ არ ვისკუმო? — ხაკითხავი აი ეს არის.. ეპ, რაც მომივა, მომივიდეს, ვისკუმბე! სიყმაწვილეში ხომ სამ ნაბაღზეც გადავმხტარვარ!

— უცებ წამალი რომ დაგჭირდეს, სად იშოვი?

— რა ბრძანებაა? — გავცხარდი მე, — რაღაც ნოლი გრამი წამლისა.

ფრის აფთიაქი ავაშენოთ? მით უმეტეს, რომ იქვე, 15 კილომეტრის დაშორებით ისეთი აფთიაქია, წყალიც კი მოგაოვებათ.

— ნუთუ წყალი ასე ძვირი საშოვნელია ქვემო-ქედში?

— ახლა კი ხელის ჩაქნევასთან ერთად — თავიც გავაქნიე და გაგზუმდი.

— კლუბის საქმე მაინც როგორა გაქვთ? — არ მისვენებდა ჩიტკორესპონდენტი.

— შესანიშნავად: ამ რამდენიმე წლის წინ კედლები ავაშენეთ, შარშან გადავხურეთ, მომავალ წელს ფანჯრებს გავუკეთებთ და ასე, როცა იქნება და როგორც იქნება კარებსაც შევაბამთ-მეთქი, — დაიმედებით ფუთხარი და ჩიტკორესპონდენტი ხმამაღლა ავაჭიკტიკე.

ახლა ერთი ვიკითხოთ, როცა ასეთ მწვავე კითხვებს გვაძლევენ ქვემო-ქედელებსაც გვეცინება?

ალ. ნაკვითაური

საქართველოს სსრ საბ. წიგნების გამომცემლობა
თბილისი
№ 93
12/1
53

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიაშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няанги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1953 წ. 11/IV. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შვკ. № 975 გამოც. № 7 ტირ. 15.000 უგ 02808.



ნახ. ჯ. გოგოლაშვილი

წელს დიდი ხნის უნახავი ბურთი თბილისს დაუბრუნდა და თებზურთის მთავარულთა გულიც ღებნით აგუგუნდა!